მაია ოთიაშვილი

ია გაბუნია

# მუსიკა და ბავშვები

მოსწავლის წიგნი

1



## საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

## თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ლექსი დავით მაღრაძის
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

# მუსიკა და ბავშვები

## მასწავლის წიგნი

## I კლასი

„წყაროსთვალი“
2018




**ავტორები**
მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

**მუსიკალური რედაქტორი**
ირინე მიქაძე

**მხატვარი**
თინათინ მღებრიშვილი

**ყდის დიზაინი**
ია გაბუნია

**ლიტერატურული რედაქტორი**
თამარ ფაშალიშვილი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**
რატი თორდია


# მუსიკა და ბავშვები

მუსიკა
I კლასი


„წყაროსთვალი“

ტელ: 274 63 69; 227 30 73
599 76 10 39; 599 30 16 84
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com



© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია



ISBN 978-9941-9295-6-4

Maia Otiashvili
MUSIC AND CHILDREN
2018 © "Tskarostvali"



უსმინე სამყაროს ❤-ის ყურით





წაგიკითხოს დედიკომ

# გამარჯობა!



მე, პატარა დირიჟორი, მოგიყვები ყველაფერს მუსიკის საოცარ სამყაროზე...

ეს შენი მოსწავლის წიგნია.

ჩვენი წიგნის გმირები არიან: თედო, მიხო, კატო, ია გოგო, პეტრე, ცანგალა, გოგონა, ორი რეზო, ფერია დრაჟე, მაკნატუნა, პატარა მოცარტი და ბეთჰოვენი. ყველანი აქ არიან, გელოდებიან, როდის გადაშლი მუსიკის წიგნს და მათთან ერთად ითამაშებ, იცეკვებ, იმღერებ. მე კიდევ საინტერესო ზღაპრებს მოგიყვები.

შენ პირველ კლასში ხარ და ახლა იწყებ ქართული ანბანის შესწავლას, ამიტომ მუსიკის წიგნთან დამეგობრებაში ეს პატარა ნახატები დაგეხმარება: შეხედავ ნახატს და მიხვდები, დედიკომ უნდა წაგიკითხოს თუ მამიკომ, ბებიამ თუ ბაბუამ. წლის ბოლოს კი, როდესაც ისწავლი ანბანს, შენ თვითონ წაიკითხავ.



წაგიკითხოს დედიკომ



წაგიკითხოს მამიკომ



წაიკითხე შენ თვითონ



წაგიკითხოს ბებიამ



წაგიკითხოს ბაბუამ

**დირიჟორი** ფრანგული სიტყვაა და ხელმძღვანელს ნიშნავს

# ...აი, მხიარული ნოტები... გაიმღერე



პატარა დირიჟორი იყურება ტელესკოპში, აკვირდება პლანეტებს, მზის, მთვარის, ვარსკვლავების მოძრაობას, უსმენს კოსმოსის ხმაურს. აი, ერთ ვარსკვლავზე პითაგორა ბიჭუნა შენიშნა, ჩამომჯდარა ვარსკვლავზე და სამყაროს უცნაური და სასწაული ხმებით ტკბება. დირიჟორი სთხოვს პითაგორა ბიჭუნას, რომ დაბრუნდეს დედამიწაზე.




უფროსი ძამიკო




უმცროსი ძამიკო




პატარა პრინცესა




სოფლელი ბიჭი



წაგიკითხოს დედიკომ

– ჩამოდი, ჩამოდი! დედამიწაზეც არის საინტერესო ხმები, ბგერები, ხმაური – მოუხმობს დირიჟორი.

– აი, შვიდი მხიარული ნოტი, ესეც ბგერებია, მე ისინი კოსმოსში აღმოვაჩინე და დედამიწაზე ჩამოვიტანე. ამ ბგერებით ადამიანები მუსიკას წერენ, აი, ისე, როგორც ასოებით ვწერთ ლექსებს, მოთხრობებს – უპასუხა პითაგორა ბიჭუნამ.

პითაგორა ბიჭუნამ პატარა დირიჟორს გააცნო და უმღერა 7 მხიარული ნოტი. დირიჟორი კი თქვენ გაგაცნობთ მათ.




მზე




მთვარე




კუდიანი ვარსკვლავი



პატარა ძამიკო





# მხიარული ნოტები



# გაიმღერე და გააფერადე

